თიბისი ბანკი

# Adobe-ს პროგრამების ყოველწლური განახლება (2026)

## სატენდერო დოკუმენტაცია

სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

## I. ტენდერში მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 19.03.2026წ. 12:00 საათიდან 15:00 საათამდე.**
**15:00 საათზე დაიწყება რევერსული აქუციონი.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
სოსო გოლუბიანი 595 117 755 igolubiani@tbcbank.ge

**სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და შემოთავაზებული საქონლით დააკმაყოფილებს გამოცხადებულ ტექნიკურ პარამატრებს (იხ. სატენდერო დანართი N1).
- გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებელი ვალდებულია სატენდერო დანართ N1-ში თავიდანვე მიუთითოს საქონლის/მომსახურების სრული ინფორმაცია.
- პრეტენდენტი ვალდებულია ბანკის მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი ფორმატის მეშვეობით დააზუსტოს შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის შესახებ ინფორმაცია - მწარმოებელი კომპანია, წარმოშობის ქვეყანა და სხვა.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;
- შემოთავაზებული პროდუქცია უნდა შეასაბამებოდეს გარემოს დაცვით სტანდარტებს: ISO14001 ან EMAS. ასევე FSC, PEFC, CE ან სხვა მსგავსი ეკო-ეტიკეტირება.

## II. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- საქონლის დეტალური განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- კომპანიის რეკვიზიტები (**სატენდერო დანართი N2**);
- სრულად შევსებული KYP ფაილი;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;